**თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს**

**2012 წლის 25 მაისის სხდომის ოქმი #3**

**სხდომას ესწრებოდნენ:** ფაკულტეტის დეკანის მ. შ. აკაკი ხელაძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 27, სტუდენტები – 5, სულ – 33 წევრი.

**დღის წესრიგი**

1. მიმართვები და ბრძანებები
2. თსუ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ

   /ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/
3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კონკურსის გამოცხადებისა და ქვოტების განსაზღვრის შესახებ

   /ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/
4. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

   /ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გ. ღაღანიძე/
5. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/
6. მიმდინარე საკითხები.

*ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა აკაკი ხელაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.*

**მოისმინეს:** თსუ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ

**/ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/**

*მომხსენებელმა ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა ა. ხელაძემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია აკადემიური საბჭოს საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ და აღნიშნა, რომ ორშაბათს სავარაოდოდ გამოქვეყნდება არსებული წესი.*

***აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.***

**მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კონკურსის გამოცხადებისა და ქვოტების განსაზღვრის შესახებ

**/ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/**

*მომხსენებელმა ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა ა. ხელაძემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კონკურსის გამოცხადებისა და ქვოტების განსაზღვრის შესახებ და აღნიშნა, რომ არსებული საშტატო განრიგი გამოიყურება შემდეგი სახით: სულ 85 საშტატო ერთეულია, მათ შორის: 15 - სრული პროფესორი; 47 - ასოცირებული პროფესორი და 26 - ასისტენტ პროფესორი. არსებული რეალური მდგომარეობა კი ასე გამოიყურება: სულ 75 საშტატო ერთეული, მათ შორის: 14 - სრული პროფესორი, 45 - ასოცირებული პროფესორი და 16 - ასისტენტ პროფესორი. ვინაიდან, ფაკულტეტის დებულებიდან გამომდინარე, არსებული სტრუქტურული მოწყობა უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, ამიტომ უნდა მოხდეს ცვლილება შემდეგი მიმართულებით: ტურიზმისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის კათედრაზე ვინაიდან არაა გათვალისწინებული 1+1+2 სტრუქტურა, ამიტომ დასაკომპლექტებელია არსებული კათედრები და არსებული 10 საშტატო ერთეულის ვაკანსიები*

*გადანაწილდა ამ კათედრებზე. საბოლოოდ, მოხდა კათედრების დაკომპლექტება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების შესაბამისად და არსებული 10 საშტატო ერთეული საბოლოოდ ეფექტურად გადანაწილდა.*

***სრ. პროფ. ნ. თოდუა, ასოც. პროფ. ჩარიტა ჯაში, ასოც. პროფ. ნინო პაპაჩაშვილი, სრ. პროფ. ელენე ხარაბაძე, ასოც. პროფ. ი. ჭილაძე, სრ. პროფ. რ. გველესიანი, სრ. პროფ. ი. კოვზანაძე.***

***აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.***

**მოისმინეს:** სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

/ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გ. ღაღანიძე/

*ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გ. ღაღანიძემ საბჭოს გააცნო ინფორმაცია მიმდინარე წლის 29 აპრილს #3 რესურს ცენტრში გამოცდის (საგანი: სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრირება) მიმდინარეობის დროს მომხდარი ფაქტი. სტუდენტმა ანდრო კიკაბიძემ ჩაიდინა თსუ ეთიკის კოდექსის 3.4.3-ით სტუდენტისათვის შეუფერებელი და არაეთიკური ქცევა. თსუ შინაგანაწესისა და დისციპლინალური პასუხისმგებლობის ნორმების 35 მუხლის, მე-7 პუნქტის მიხედვით სტუდენტს უნდა გამოეცხადოს საყვედური.*

*გამოცდის ჩატარებაზე პასუხისმგებელმა პირებმა დაუშვეს დაუდევრობა, რამაც პრაქტიკულად საფრთხილს წინაშე დაუშვეს დაუდევრობა, რამაც პრაქტიკულად საფრთხის წინაშე დააყენაგამოცდის ჩატარება. ამდენად, თსუ შინაგანაწესისა და დისციპლინალური პასუხისმგებლობისნორმების 34 მუხლის პირველი პუნქტის, ბ ქვეპუნქტის მიხედვით გამოცდის ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირებს უნდა მიეცეთ გაფრთხილება. მაღლივი კორპუსის დაცვის თანამშრომლებმა დაუშვეს სტუდენტის მიერ ლეპ-ტოპით სარგებლობა და ყურადღება არ მიაქციეს, რომ სტუდენტი ახდენდა საგამოცდო პროგრამის დემონსტრირებას. თსუ დაცვის*

*სამსახურს მეიცეს რეკომენდაცია, რომ თსუ შინაგანაწესისა და და დისციპლინალური პასუხისმგებლობის ნორმების 34 მუხლის, პირველი პუნქტის, ა პუნქტის მიხედვით 29 აპრილს თსუ მაღლივი კორპუსის დაცვის თანამშრომლებს მიეცეთ შენიშვნა.*

*ბოლოს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნულ საკითხზე იმსჯელოს ფაკულტეტის საბჭომ.*

**აზრი გამოთქვეს:** სრ. პროფ. ს. გელაშვილმა, სრ. პროფ. ქ. მარშავამ, სრ. პროფ. თ. შენგელიამ, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა.

***ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი*** *- სტუდენტი პირველ კურსელია და გასაგებია ეს ყველაფერი, მაგრამ ჩვენ იქნებ შევჯერდეთ რესურს ცენტრში გამოცდების ჩატარების წესსზე, რომ ამგვარ ხარვეზებს აღარ ჰქონდეს ადგილი.*

***დეკანის მ. შ. აკაკი ხელაძე*** *- ვეთანხმები ქალბატონ ეკას, რომ შემუშავდეს რესურს ცენტრში გამოცდების ჩატარების წესი, იქნებ გამოცდების დაწყებამდე შემუშავებულ და წარმოდგენილ იქნას. დაევალოს ასოც. პროფ. ე. ლაგვილავას წარმოადგინოს კომპიუტერების მეშვეობით ჩასატარებელი გამოცდების საფაკულტეტო წესის შემუშავება.*

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 33;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

**დაადგინეს:** 1. *სტუდენტ ანდრო კიკაბიძეს გამოეცხადოს საყვედური თსუ შინაგანაწესისა და დისციპლინალური პასუხისმგებლობის ნორმების 35 მუხლის, მე-7 პუნქტის მიხედვით, თსუ ეთიკის კოდექსის 3.4.3-ით სტუდენტისათვის შეუფერებელი და არაეთიკური ქცევის გამო.*

*2. დაევალოს ასოც. პროფ. ე. ლაგვილავას წარმოადგინოს კომპიუტერების მეშვეობით ჩასატარებელი გამოცდების საფაკულტეტო წესის სამუშაო ვარიანტი ამა წლის 18 ივნისისთვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.*

**მოისმინეს:** სამაგისტრო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ

**/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/**

*ქალბატონმა ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებით განსაზღვრულია ე. წ. საკურსო ნაშრომი, ვფიქრობთ, აღნიშნული სახელწოდება შეუსაბამობაშია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესთან, რადგან მიმდინარე ეტაპზე ხორციელდება სემესტრული სწავლება. გთავაზობთ „საკურსო ნაშრომი“-ს სახელწოდება შეიცვალოს „კვლევითი ნაშრომით“. მასში აისახება თემის აქტუალობა; მიზნები; ამოცანები; საკვლევი საგანი და ობიექტი; კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები; პრობლების კვლევის მდგომარეობა და ა. შ.*

**აზრი გამოთქვეს:** დეკანის მ. შ. ა. ხელაძემ, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა, ასოც. პროფ. ე. ჩოხელმა, ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 33;

წინააღმდეგი – 0;

თავი შეიკავა – 0.

**დაადგინეს:** 1. სამაგისრტო პროგრამებში „ეკონომიკა“ და“ ბიზნესის ადმინისტრირება“ „საკურსო ნაშრომი“-ს კომპონენტი შეიცვალოს „კვლევითი ნაშრომით“.

2. აღნიშნულის დამტკიცება ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს.

**მოისმინეს:** ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მიზნების კორექტირების შესახებ

**/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/**

*ქალბატონმა ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ 2012 წლის 23 მაისს შემოვიდა ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორის სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილის განცხადება ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მიზნების კორექტირებასთან*

*დაკავშირებით, კერძოდ, პროგრამის მიზანია: მისცეს ფუნდამენტური ცოდნა თანამედროვე ეკონომიკური თეორიის – მიკროეკონომიქსის, მაკროეკონომიქსის და ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკური თეორიის – მეთოდოლოგიისა და სისტემური ანალიზის სფეროებში; ფლობენ გაღრმავებულ ცოდნას ტრანსფორმაციული პროცესების რეგულირების, მეთოდოლოგიური და ინსტიტუციონალური საფუძვლების შესახებ, ეროვნული ეკონომიკის მაკროეკონომიკური რეგულირებისა და პროგნოზირების დარგში; სისტემურად აცნობიერებენ შრომის, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის ლოკალურ და ინტერნაციონალიზებულ ბაზრებზე მიმდინარე პროცესებს, საოჯახო მეურნეობებზე, ფირმებსა და კორპორაციებზე ზემოქმედ ეკონომიკურ და არაეკონომიკურ ფაქტორებს; გაცნობიერებული და გათავისებული აქვთ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპები, მიზნები, ამოცანები და ინსტრუმენტები; დაუფლებულნი არიან ცოდნას მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე უახლესი მოვლენების, პროცესების, ტენდენციების, განსაკუთრებით კი მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის, ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებზე მისი ზემოქმედების მიმართულებების შესახებ; ფლობენ საფუძვლიან ცოდნას საერთაშორისო სტატისტიკის პრაქტიკაში გამოყენებული მაჩვენებლების გამოთვლისა და ანალიზის მეთოდოლოგიასა და მეთოდიკაში, ეკონომიკურ–მათემატიკური მოდელებისა და განსაკუთრებით ფინანსური ეკონომეტრიკის, როგორც თანამედროვე ეკონომეტრიკის ყველაზე დინამიკურად განვითარებადი ნაწილის შესახებ.*

*გააჩნიათ მიკრო–, მაკრო– და გლობალურ დონეებზე მიმდინარე ეკონომიკური პროცესებისა და ჩამოყალიბებული კანონზომიერებების, განვითარების ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების ურთიერთშეჯერების, სინთეზისა და განმაზოგადებელი დასკვნების, მეცნიერულ საფუძველზე პროგნოზების გაკეთების უნარი კვლევის პროცესში თანამედროვე რაოდენობრივი (სტატისტიკური) და ეკონომეტრიკული მეთოდების გამოყენების საფუძველზე.*

*შეუძლიათ კვლევის შედეგად მიღებული საკუთარი მოსაზრებებისა და დასკვნების საჯარო პრეზენტაცია, მათი მკაფიო, დამაჯერებელი და ლოგიკური დასაბუთება როგორც სპეციალისტების, ისე არასპეციალისტებისათვის.*

*გააჩნიათ გაღრმავებული, სპეციალიზებული ცოდნა და კომპეტენციები როგორც შესაბამის მოდულებში (საერთაშორისო ეკონომიკა, ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია, მაკროეკონომიკა, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკა, ბიზნესის ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და მათემატიკური ეკონომიკა), როგორც ტრადიციული და თანამედროვე სწავლების კანონზომიერი შედეგი.*

*აქვთ ეკონომიკის სხვადასხვა დარგების სიღრმისეული და სისტემური ცოდნა, რომელიც იძლევა სწავლების მომდევნო საფეხურზე – დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას.*

**აზრი გამოთქვეს:** სრ. პროფ. რ. გველესიანმა, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა, ასოც. პროფ. ი. გაგნიძემ, ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 33;

წინააღმდეგი – 0;

თავი შეიკავა – 0.

**დაადგინეს:** 1. წარმოდგენილი ფორმით განისაზღვროს ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მიზნები;

2. აღნიშნულის დამტკიცება ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს.

**მოისმინეს:** აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ

**/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი/**

**აზრი გამოთქვეს:** სრ. პროფ. რ. გველესიანმა, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა, ასოც. პროფ. ე. ჩოხელმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 33;

წინააღმდეგი – 0;

თავი შეიკავა – 0.

**დაადგინეს:** მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2012 სასწავლო წლის კურსდამთავრებულს:

**დიპლომი ჩვეულებრივი:**

1. აბაშმაძე იესო

**მოისმინეს:** სრული პროფესორ ქეთევან მარშავას წარდგინება ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დაჯილდოებაზე

**/ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ა. ხელაძე/**

**აზრი გამოთქვეს:** სრ. პროფ. ს. გელაშვილმა, სრ. პროფ. რ. გველესიანმა, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა.

***სრ. პროფ. ს. გელაშვილი*** *- მოგახსენებთ, რომ ეკონომიკური სტატისტიკის კათედრაზე 1994 წლიდან მოღვაწეობს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ქეთევან მარშავა – საქართველოში ეკონომიკურ მეცნიერებათა პირველი, ხოლო სტატისტიკის დარგში პირველი და ერთადერთი დოქტორი ქალბატონი.*

*პროფესორ ქეთევან მარშავას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში სტატისტიკური მეცნიერების განვითარებაში, რაც დადასტურებულია მის მრავალრიცხოვან მონოგრაფიებში, სახელმძღვანელოებში, ბროშურებსა თუ სამეცნიერო სტატიებში. მისი ავტორობით გამოიცა ორიგინალური ქართულენოვანი სახელმძღვანელოები: „ეროვნულ ანგარიშთა სისტემა", „იურიდიული სტატისტიკა", „კომერციის სტატისტიკა". მას განხორციელებული აქვს მრავალი საგრანტო კვლევა სახელმწიფო და ბიზნეს სტრუქტურების დაკვეთით.*

*ჩვენს უნივერსიტეტში მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე მან აღზარდა ათასობით მაღალკვალიფიციური ეკონომისტი. ის სხვადასხვა დროს ფაკულტეტზე არსებული სამი სადისერტაციო საბჭოს წევრი გახლდათ. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.*

*პროფესორი ქეთევან მარშავა არის საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკური პროფილის ოთხი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ფაკულტეტის საბჭოს წევრი, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, 2007-2009 წლებში იყო თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ხოლო 2009 წლიდან დღემდე აკადემიური საბჭოს წევრია.*

*პროფესორ ქეთევან მარშავას დიდი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი ღვაწლის დასაფასებლად და დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით, გთხოვთ თქვენს მხარდაჭერას მისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით დაჯილდოებაზე წარსადგენად.*

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 33;
წინააღმდეგი – 0;
თავი შეიკავა – 0.

**დაადგინეს:**

I. სრული პროფესორი ქეთევან მარშავა წარდგენილ იქნას ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალზე;

II. აღნიშნულის დამტკიცება ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს.

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის
შემსრულებელი: ა. ხელაძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოც. პროფ: ხ. ბარბაქაძე